

**ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის 2019 წლის
I კვარტლის ანგარიში**

სტრატეგიული მიმართულება 1	ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობა
პროგრამა 1.1	სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება
პროგრამის მიზანი	ახალგაზრდების მიერ კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების აღიარება და დაცვა, სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად ქმედებისა და სამოქალაქო კომპეტენციის განვითარება, პასუხისმგებლიან და აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბების ხელშეწყობა.
პროგრამის მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესებულია ქ. ბათუმში მცხოვრები ახალგაზრდების სამოქალაქო კომპეტენციები, ახალგაზრდები იაზრებენ სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად ქმედების არსს, იცავენ კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს.

ღონისძიებები:

სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ტრენინგების, სემინარების, საინფორმაციო შეხვედრების, თემატური პროექტების, იმიტირებული და სიმულაციური თამაშების ორგანიზება

შესრულების ინდიკატორი

ჩატარებული ტრენინგების, სემინარების, საინფორმაციო შეხვედრების, თემატური პროექტების, იმიტირებული და სიმულაციური თამაშების რაოდენობა

შესრულება

✓

სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ტრენინგებში, სემინარებში, საინფორმაციო შეხვედრებში, თემატურ პროექტებში, იმიტირებულ და სიმულაციურ თამაშებში ახალგაზრდების ჩართვა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (14-დან 18 წლამდე, 18-დან 24 წლამდე, 25 წელს ზევით)

აქტივობებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა

✓

მონაცემების შეგროვება და დამუშავება კანონთან კონფლიქტში მყოფი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და იმ ახალგაზრდების შესახებ, რომლებიც არ სწავლობენ, არ არიან დასაქმებული და არ გადიან ტრენინგს, მათი ინტეგრაციის მიზნით

მონაცემთა ბაზა

✓

ღონისძიება 1

სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ტრენინგების, სემინარების, საინფორმაციო შეხვედრების, თემატური პროექტების, იმიტირებული და სიმულაციური თამაშების ორგანიზება

2019 წლის I კვარტალში

პირველ კვარტალში დაგეგმილი იყო არაფორმალური განათლების პროგრამების მიწოდება ადგილობრივი მოზარდებისა და ახალგაზრდებისთვის, სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ აღნიშნული პუნქტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები უნდა განხორციელდეს მთელი წლის განმავლობაში, ხოლო საერთო ბიუჯეტი შეადგენს 13 000 ლარს. პირველ კვარტალში მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია და შედგა ტენდერი, დაზუსტდა განსახორციელებელი აქტივობების დეტალები მომწოდებელთან, შეირჩა წლის განმავლობაში ჩასატარებელი ტრენინგ-სემინარების თემატიკა.

ღონისძიება 2

სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ტრენინგებში, სემინარებში, საინფორმაციო შეხვედრებში, თემატურ პროექტებში, იმიტირებულ და სიმულაციურ თამაშებში ახალგაზრდების ჩართვა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (14-დან 18 წლამდე, 18-დან 24 წლამდე, 25 წელს ზევით)

2019 წლის I კვარტალში

გამომდინარე იქიდან, რომ პირველ კვარტალში სატენდერო და სხვა მოსამზადებელი სამუშაოების გამო ვერ მოხერხდა ტრენინგებისა და საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება, შესაბამისად ვერ განხორციელდა ამ კუთხით ახალგაზრდების ჩართულობაც.

ღონისძიება 3

მონაცემების შეგროვება და დამუშავება კანონთან კონფლიქტში მყოფი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და იმ ახალგაზრდების შესახებ, რომლებიც არ სწავლობენ, არ არიან დასაქმებული და არ გადიან ტრენინგს, მათი ინტეგრაციის მიზნით

2019 წლის I კვარტალში

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პოლიტიკის განყოფილების მე-3 კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა მონაწილეობა მიიღო ორგანიზაციის „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის“ პროექტის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრაში, სადაც განხილული იქნა მუნიციპალიტეტის როლი არასრულწლოვანთა დანაშაულის ადრეული პრევენციის ქმედითი ღონისძიებების შესახებ. შეხვედრაზე გაზიარებული იქნა ინფორმაცია სამომავლო ერთობლივი მუშაობისა და ღონისძიებების შესახებ. მიმდინარეობს სხვადასხვა პრაქტიკის შესწავლა და გაცნობა, თუ როგორ უნდა შეიქმნას და დამუშავდეს მონაცემები პროგრამის სამიზნე ჯგუფების შესახებ.

პროგრამა 1.2

ახალგაზრდების კვალიფიკაციის ზრდის, კონკურენტუნარიანობისა და დასაქმებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის მიზანი

ახალგაზრდებში პროფესიის არჩევის, კომუნიკაციის, მოლაპარაკების, დარწმუნების ტექნიკის, კონფლიქტის მართვის, სამუშაოს მოძიების, შესაძლებლობების შეფასების, საჯაროდ გამოსვლის უნარჩვევების განვითარება, ახალგაზრდების ინფორმირებულობა შრომის უსაფრთხოების შესახებ.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

გაუმჯობესებულია ქ. ბათუმში მცხოვრები ახალგაზრდების დასაქმებისთვის საჭირო აუცილებელი უნარები, ახალგაზრდები ინფორმირებულნი არიან შრომის უსაფრთხოების შესახებ.

ღონისძიებები:

შესრულების ინდიკატორი

შესრულება

შეგროვდება და დამუშავდება მონაცემთა ბაზა ✓
სტატისტიკური მონაცემები და
საინფორმაციო ბაზები შეზღუდული
შესაძლებლობის მქონე დასაქმების მსურველი
ახალგაზრდების შესახებ მათი
შესაძლებლობებიდან და კომპეტენციებიდან
გამომდინარე, დასაქმების ბაზარზე მათთვის
გაწეული იქნება დამსაქმებლებთან
შუამდგომლობა

ჩატარდება დასაქმების მსურველი სტუდენტების რაოდენობა, რომლებმაც ✓
ახალგაზრდებისთვის დასაქმებისთვის გაიარეს სტაჟირება სკოლამდელი აღზრდისა
საჭირო კომპეტენციების შესახებ ტრენინგები, და განათლების დაწესებულებებში
მათ შორის შრომის უსაფრთხოებაზე

განათლებისა და ფსიქოლოგიის სტუდენტების რაოდენობა, რომლებმაც ✓
მიმართულების საუნივერსიტეტო გაიარეს სტაჟირება სკოლამდელი აღზრდისა
პროგრამების სტუდენტებისთვის და განათლების დაწესებულებებში
სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში გამოცდილების მიღებისა
და პროფესიული ზრდის ხელშეწყობისთვის
გამოიყოფა პრაქტიკული საათები

ღონისძიება 1

შეგროვდება და დამუშავდება სტატისტიკური მონაცემები და საინფორმაციო ბაზები შეზღუდული
შესაძლებლობის მქონე დასაქმების მსურველი ახალგაზრდების შესახებ მათი შესაძლებლობებიდან და
კომპეტენციებიდან გამომდინარე, დასაქმების ბაზარზე მათთვის გაწეული იქნება დამსაქმებლებთან
შუამდგომლობა

2019 წლის I კვარტალში

მზადდება საინფორმაციო ბაზის ცხრილის ფორმა.

ღონისძიება 2

ჩატარდება დასაქმების მსურველი ახალგაზრდებისთვის დასაქმებისთვის საჭირო კომპეტენციების შესახებ
ტრენინგები, მათ შორის შრომის უსაფრთხოებაზე

2019 წლის I კვარტალში

დასაქმების მსურველი ახალგაზრდებისთვის დასაქმებისთვის საჭირო კომპეტენციების შესახებ ტრენინგების, მათ
შორის შრომის უსაფრთხოებაზე, ჩატარების მიზნით მიმდინარეობდა მოსამზადებელი სამუშაოები.

ღონისძიება 3

განათლებისა და ფსიქოლოგიის მიმართულების საუნივერსიტეტო პროგრამების სტუდენტებისთვის
სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში გამოცდილების მიღებისა და პროფესიული ზრდის
ხელშეწყობისთვის გამოიყოფა პრაქტიკული საათები

2019 წლის I კვარტალში

განათლებისა და ფსიქოლოგიის მიმართულების საუნივერსიტეტო პროგრამების სტუდენტებისთვის
სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში გამოცდილების მიღებისა და პროფესიული ზრდის
ხელშეწყობის მიზნით, ბაღების გაერთიენების მიერ გამოიყო პრაქტიკული საათები.

პროგრამა 1.3

ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა

პროგრამის მიზანი

ახალგაზრდების იდეების, შემოქმედებითობისა და შესაძლებლობების რეალიზება. გადაწყვეტილების მიღების, დაგეგმვის, დამოუკიდებლად და გუნდურად მუშაობის, ორგანიზების უნარების პრაქტიკის დაუფლება, თემის განვითარებაში ახალგაზრდების როლისა და მონაწილეობის

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

ახალგაზრდები თავად ახდენენ იდეის ინიცირებას, განხორციელებასა და მართვას, გაზრდილია ახალგაზრდების წვლილი თემის განვითარებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ღონისძიებები:

შესრულების ინდიკატორი

შესრულება

სკოლის მოსწავლეებთან, სტუდენტებთან და ახალგაზრდებთან საინფორმაციო შეხვედრების მოწყობა

პროექტებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა

✓

პროექტის დაწერის, დაფინანსების მოძიებისა და პროექტის მართვის შესახებ საგანმანათლებლო კურსის შეთავაზება ახალგაზრდებისთვის

აქტივობაში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა

✓

საუკეთესო პროექტების გამოვლენისა და დაფინანსების მიზნით კონკურსის ჩატარება

დაფინანსებული პროექტების რაოდენობა

✓

ღონისძიება 1

სკოლის მოსწავლეებთან, სტუდენტებთან და ახალგაზრდებთან საინფორმაციო შეხვედრების მოწყობა

2019 წლის I კვარტალში

პირველ კვარტალში ახალგაზრდული ცენტრის პოროგრამული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გავრცელებასა და ახალგაზრდული ცენტრის პოპულარიზაციის მიზნით, დაიწყო საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ჩატარება ქ. ბათუმის საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მ.წ.თებერვლის თვეში დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები, შედგა სატელეფონო კომუნიკაცია საჯარო სკოლების წარმომადგენლებთან დაგეგმილი საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების თაობაზე, მომზადდა შეხვედრის გეგმა- გრაფიკი, წერილობით ეცნობა აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაგეგმილი საინფორმაციო კამპანიის თაობაზე ქ. ბათუმის საგანმანათლებლო დაწესებულებებში. მარტის თვეში საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა მოეწყო ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის N2, N3, N4 და N10 საჯარო სკოლებში. სპეციალურად ამ შეხვედრების ორგანიზებისათვის მომზადდა პრეზენტაცია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ახალგაზრდული ცენტრის“ ფარგლებში წლის განმავლობაში დაგეგმილი ღონისძიებებისა და აქტივობების შესახებ, აგრეთვე, 2018 წელს ცენტრის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების თაობაზე. პრეზენტაცია მოიცავს ძალიან საინტერესო შინაარსობრივ და მდიდარ ფოტო-მასალას, გარდა ამისა, შეხვედრების დროს აუდიტორია გაეცნო ახალგაზრდული ცენტრის ფეისბუქ გვერდზე განთავსებულ „ახალგაზრდული ცენტრის სარეკლამო ვიდეორგოლსა“ და გასული, მიმდინარე და უახლოეს მომავალში დაგეგმილი აქტივობების შესახებ ინფორმაციას.

ღონისძიება 2

პროექტის დაწერის, დაფინანსების მოძიებისა და პროექტის მართვის შესახებ საგანმანათლებლო კურსის შეთავაზება ახალგაზრდებისთვის

2019 წლის I კვარტალში

პროექტის დაწერის, დაფინანსების მოძიებისა და პროექტის მართვის შესახებ საგანმანათლებლო კურსის ახალგაზრდებისთვის, შეთავაზების მიზნით მიმდინარეობდა მოსამზადებელი სამუშაოები.

ლონისძიება 3

საუკეთესო პროექტების გამოვლენისა და დაფინანსების მიზნით კონკურსის ჩატარება

2019 წლის I კვარტალში

აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში ახალგაზრდების იდეებისა და ინიციატივების განხორციელების ხელშეწყობის, დამოუკიდებელი და გუნდური მუშაობის ორგანიზების უნარების დაუფლების, თემის განვითარებაში ახალგაზრდების როლისა და მონაწილეობის გაზრდის მიზნით, მ.წ. იანვრის თვეში მომზადდა „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამით „ახალგაზრდული ცენტრის“ ღონისძიების „ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის“ ფარგლებში კონკურსის ჩატარების წესი და დებულება“, რომელიც დამტკიცებული იქნა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მ.წ. 31 იანვრის N7 განკარგულებით.

თებერვლის თვეში ღონისძიების ფარგლებში შემოვიდა რვა განაცხადი, რომელთაგან კომისიის გადაწყვეტილებით (კომისიის სხდომის ოქმი N1, 12.03.2019 წ) რეკომენდაცია დაფინანსებაზე გაეწია 7 პროექტს, კერძოდ:

პროექტი 1 - „საქართველოს პარლამენტის მოდელირება 2019 - საგაზაფხულო სესია“. პროექტის მიზანს წარმოადგენდა არაფორმალური განათლების მეშვეობით ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა საზოგადოებრივ პროცესებში, საპარლამენტო საქმიანობის შესახებ ცოდნის გავრცელება, დებატების, საჯარო გამოსვლისა და პრობლემის გადაწყვეტის უნარ-ჩვევების გაუმჯობესება. პროექტის ფარგლებში, 29 მარტს, ქალაქ ბათუმის მერიის ახალგაზრდულ ცენტრში, პროექტის მონაწილეებისათვის მოწვეულმა სპიკერმა ჩაატარა საინფორმაციო შეხვედრა, ტრენინგ-სემინარი თემაზე: „საქართველოს პარლამენტის მუშაობა და ფუნქციები“. 30 და 31 მარტს გაიმართა სამუშაოები და სხდომები შემდეგ კომიტეტებში: განათლების, მეცნიერების, კულტურის კომიტეტი, ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი, გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი. პლენარულ სხდომაზე წარმოდგენილი 4 რეზოლუციიდან დამტკიცდა 3, მათ შორის: სქესობრივი განათლება სკოლებში, ნარჩენების მართვა და თანამედროვე ტექნოლოგიები, უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს უფლება. თითოეული კომიტეტიდან გამოვლიდნენ საუკეთესო დელეგატი, რომლებსაც სხვადასხვა პრიზები გადაეცათ. პროექტის ავტორები და ხელმძღვანელები იყვნენ ბათუმელი ახალგაზრდები თამარ აბაშიძე და ზალინა გორგილაძე. პროექტში მონაწილეობა მიიღო მოსწავლეებმა და სტუდენტებმა, სულ 100-მა ახალგაზრდამ.

პროექტი 2 - „შეიცანი შენი კულტურა“. პროექტის მიზანს წარმოადგენდა ახალგაზრდებში შემეცნებითი, საგანმანათლებლო პროექტებისადმი ინტერესის გაზრდა. პროექტის ფარგლებში მოეწყო ექსკურსია იმერეთის რეგიონში. ახალგაზრდები გაეცნენ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კუთხის იმერეთის თვალწარმტაც ბუნებას, მოინახულეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და შეიმეცნეს ღირსშესანიშნაობებთან დაკავშირებული ისტორია. პროექტის ავტორი იყო ბათუმელი ახალგაზრდა მარიკა გაბაიძე. ექსკურსიაში მონაწილეობა მიიღო 50 ახალგაზრდამ. პროექტი განხორციელდა მ.წ. მარტის თვეში.

პროექტი 3 - „ჩვენი მემკვიდრეობა“. პროექტის მიზანს წარმოადგენდა ახალგაზრდებში საგანმანათლებლო პროექტებისადმი ინტერესისა და ჩართულობის გაზრდა. პროექტის ფარგლებში მოეწყო ექსკურსია სვანეთში. 50 ახალგაზრდა გაეცნო სვანეთის ულამაზეს ბუნებას, მოინახულეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და შეიმეცნეს ღირსშესანიშნაობებთან დაკავშირებული ისტორია. პროექტის ავტორი იყო ბათუმელი ახალგაზრდა ცოტნე ბათაძე. პროექტი განხორციელდა მ.წ. მარტის თვეში.

პროექტი 4 - „ქუჩის კალათბურთი 2“. პროექტის მიზანია: ახალგაზრდებში სპორტის პოპულარიზაცია, თავისუფალი დროის ორგანიზება ქუჩის კალათბურთის თამაშებში ჩართულობის გზით. პროექტის ფარგლებში გამოცხადდება გუნდების რეგისტრაცია, ჩატარდება გუნდური მატჩები, პროექტში სულ ჩაერთვება კალათბურთით დაინტერესებული 14-დან 29 წლამდე ასაკის 60 ახალგაზრდა. გამარჯბეულები დაჯილდოვდებიან თასებითა და სამახსოვრო საჩუქრებით.

პროექტი 5 - „ბავშვები ითხოვენ მშვიდობას“. პროექტის მიზანია: სახალხო დიპლომატიის განვითარების ხელშეწყობა, ქართველი და უკრაინელი ომის ვეტერანების შვილების დამეგობრება. პროექტის ფარგლებში ბათუმში მოწვეული იქნებიან უკრაინის საომარი მოქმედებების ზონაში მცხოვრები ვეტერანების შვილები, სულ 20 ბავშვი, რომლებიც 10 დღის განმავლობაში გაეცნობიან რეგიონის კულტურულ და ტურისტულ პოტენციალს და მოინახულებენ ღისშესანიშნაობებს და გაიცნობენ ბათუმში მცხოვრებ თავიანთ თანატოლებს.

პროექტი 6 - „ცხოვრების სკოლა“. პროექტის მიზანია: მოზარდებსა და ახალგაზრდებში ცხოვრებისეულ საკითხებთან და სირთულეებთან გამკვლავების უნარ-ჩვევების დაუფლება. პროექტის „ცხოვრების სკოლის“ ფარგლებში ბათუმში მცხოვრები 14- დან 26 წლამდე ასაკის მოზარდებისა და ახალგაზრდებისთვის განხორციელდება პრაქტიკული კურსი ისეთ თემებთან დაკავშირებით, როგორცაა: მენტალური ჯანმრთელობა, დეპრესიასთან ბრძოლის მეთოდები, სტრესთან გამკვლავება, ბრაზის მართვა, დროის ეფექტური მენეჯმენტი, ემოციური ინტელექტის გაუმჯობესების მეთოდები, პირველადი დახმარების გაწევის ტექნიკა და ა.შ. პროექტში ჯამში გათვალისწინებულია 150 ახალგაზრდის ჩართვა.

პროექტი 7 - „ჭადრაკი ყველასათვის“. პროექტის მიზანია: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების დაინტერესება ჭადრაკით. პროექტის ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების მონაწილეობით ჩატარდება ჭადრაკის თამაშები.

პროგრამა 1.4 ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა

პროგრამის მიზანი	ახალგაზრდების ინტელექტუალური და კოგნიტური განვითარების ხელშეწყობა, ახალგაზრდებში ცოდნის მიღების ინტერესის გაღვივება, მათთვის ხელსაყრელი და წამახალისებელი გარემოს შექმნა.
პროგრამის მოსალოდნელი შედეგი	ახალგაზრდების ინტელექტუალური და კოგნიტური განვითარებისთვის შექმნილია შესაბამისი პირობები, გაზრდილია ინტელექტუალურ-შემეცნებით აქტივობებში ახალგაზრდების მონაწილეობის მაჩვენებელი.

ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი	შესრულება
სკოლის მოსწავლეებთან, სტუდენტებთან და ახალგაზრდებთან საინფორმაციო შეხვედრების მოწყობა	ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა; შეხვედრების მონაწილეთა რაოდენობა.	✓
ინტელექტუალური თამაშების ჩატარების მხარდაჭერა	მხარდაჭერილი ინტელექტუალური თამაშების რაოდენობა.	✓

ღონისძიება 1

სკოლის მოსწავლეებთან, სტუდენტებთან და ახალგაზრდებთან საინფორმაციო შეხვედრების მოწყობა

2019 წლის I კვარტალში

პირველ კვარტალში ახალგაზრდული ცენტრის პროგრამული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გავრცელებასა და ახალგაზრდული ცენტრის პოპულარიზაციის მიზნით დაიწყო საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ჩატარება ქ. ბათუმის საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მ.წ.თებერვლის თვეში დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები, შედგა სატელეფონო კომუნიკაცია საჯარო სკოლების წარმომადგენლებთან დაგეგმილი საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების თაობაზე, მომზადდა შეხვედრის გეგმა- გრაფიკი, წერილობით ეცნობა აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაგეგმილი საინფორმაციო კამპანიის თაობაზე ქ. ბათუმის საგანმანათლებლო დაწესებულებებში. მარტის თვეში საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა მოეწყო ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის N2, N3, N4 და N10 საჯარო სკოლებში.სპეციალურად ამ შეხვედრების ორგანიზებისათვის მომზადდა პრეზენტაცია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ახალგაზრდული ცენტრის“ ფარგლებში წლის განმავლობაში დაგეგმილი ღონისძიებებისა და აქტივობების შესახებ, აგრეთვე გასული 2018 წელს ცენტრის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების თაობაზე. პრეზენტაცია მოიცავს ძალიან საინტერესო შინაარსობრივ და მდიდარ ფოტო-მასალას, გარდა ამისა, შეხვედრების დროს აუდიტორია გაეცნო ახალგაზრდული ცენტრის ფეისბუქ გვერდზე განთავსებულ „ახალგაზრდული ცენტრის სარეკლამო ვიდეორგოლსა“ და გასული, მიმდინარე და უახლოეს მომავალში დაგეგმილი აქტივობების შესახებ ინფორმაციას.

ღონისძიება 2

ინტელექტუალური თამაშების ჩატარების მხარდაჭერა

2019 წლის I კვარტალში

პირველ კვარტალში დაგეგმილი იყო ღონისძიების ინტელექტუალური თამაში რა? სად? როდის? ფარგლებში სამივე ეტაპის (ა) მოსწავლეთა ლიგის თამაშები; ბ) სტუდენტთა ლიგის თამაშები; გ) ბათუმის ღია ჩემპიონატის თამაშები;) მონაწილეთათვის სასაჩუქრე წიგნებისა და თასების შექმნა. მ.წ. თებერვლის თვეში მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია წიგნებისა და თასების მოწოდების თაობაზე, მარტის თვეში გამოცხადდა ტენდერი. თასების მოწოდებაზე გამოცხადებული ტენდერი პირველ ეტაპზე არ შედგა, რის გამოც გამოცხადდა განმეორებითი ტენდერი, ხოლო წიგნების შექმნაზე გამოცხადებული ტენდერი დასრულდა წარმატებით, მაგრამ წიგნებისა და თასების მოწოდების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ხელშეკრულების გაფორმება ვერ მოხერხდა მ.წ. მარტის თვეში, შესაბამისად საქონლის მოწოდება და ანგარიშწორება განხორციელდება მომდევნო კვარტალში.

პროგრამა 1.5

მოხალისეობის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის მიზანი

მოხალისეობის ინსტიტუტის განვითარება, ახალგაზრდებში მოხალისეობრივი საქმიანობის ინტერესის გაღვივება და მოხალისეობრივი საქმიანობის განხორციელებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

გაზრდილია ქ. ბათუმში მცხოვრები ახალგაზრდების მოხალისეობრივი საქმიანობისადმი ინტერესი, შექმნილია მოხალისეთა კლუბი და მოხალისეობის მსურველთა ბაზა, საჭიროებისა და ინტერესების მიხედვით, ახალგაზრდები ეწევიან მოხალისეობრივ საქმიანობას, რაც ზრდის ახალგაზრდების სოციალურ და მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას.

ღონისძიებები:

შესრულების ინდიკატორი

შესრულება

მოხალისეობის მსურველი ახალგაზრდების ბაზის შექმნა მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით	დარეგისტრირებულ მოხალისეთა რაოდენობა	✓
მოხალისე ახალგაზრდებისთვის სოციალური აქტივობების გრაფიკის დაგეგმვა და მათი გადანაწილება იმ დაწესებულებებში, სადაც სჭირდებათ მოხალისეობრივი რესურსი	გადამზადებული მოხალისეების მოხალისეობრივად შესრულებული აქტივობების რაოდენობა	✓
იმ დაწესებულებებისა და პროექტების შესახებ საინფორმაციო მონაცემების შედგენა, რომელთაც სურვილი აქვთ ან სჭირდებათ მოხალისეობრივი რესურსი	ორგანიზაციების სია, სადაც გადამზადებულმა მოხალისეებმა გასწიეს მოხალისეობრივი საქმიანობა	✓
ურთიერთანამრომლობის დამყარდება მშვიდობის კორპუსის საქართველოს წარმომადგენლობასთან, ამერიკელი მოხალისის მოწვევის საკითხთან დაკავშირებით		✓
ახალგაზრდა მოხალისეთა ჯგუფების შექმნა, რომლებიც მოხალისეობას პოპულარიზაციას გაუწევენ არა მხოლოდ თავიანთ თანატოლებში, არამედ უფროსი თაობის წარმომადგენლებთანაც		✓

ღონისძიება 1

მოხალისეობის მსურველი ახალგაზრდების ბაზის შექმნა მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით

2019 წლის I კვარტალში

გამოცხადდა შესარჩევი ეტაპი ბათუმის მერიის ახალგაზრდული ცენტრის მოხალისეობაზე შემდეგი პირობებით:

- ახალგაზრდულ სფეროში განხორციელებულ პროექტებში მონაწილეობის გამოცდილება;
- არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებულ პროექტებში მონაწილეობის გამოცდილება;
- გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევები;
- მოტივირებულობა;
- დეტალებზე და შედეგზე ორიენტირებულობა;
- ორგანიზებულობა.

მოვალეობები:

- ბათუმის მერიის ახალგაზრდულ ცენტრში მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების პროცესში ჩართულობა, წინამოსამზადებელ პერიოდში ჩართვა და დახმარება;
- ტრენინგ-სემინარების, შეხვედრების, კლუბების შეხვედრებისათვის მოსამზადებელ პროცესში დახმარება.
- ახალგაზრდული ცენტრის შესახებ საინფორმაციო კამპანიაში მონაწილეობა, გასვლითი ხასიათის საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზებაში დახმარება.

პირველ კვარტალში მიმდინარეობდა რეგისტრაციის პროცესი.

ღონისძიება 2

მოხალისე ახალგაზრდებისთვის სოციალური აქტივობების გრაფიკის დაგეგმვა და მათი გადანაწილება იმ დაწესებულებებში, სადაც სჭირდებათ მოხალისეობრივი რესურსი

2019 წლის I კვარტალში

ბათუმის ახალგაზრდული ცენტრის მოხალისეობის მსურველთა რეგისტრაციის პროცესის ამოწურვის შემდეგ, განხორციელდება მოხალისეების შერჩევა, რომლის შემდგომაც ერთობლივად გაიწერება აქტივობების გრაფიკი და მოხალისეების მსურველი ორგანიზაციების მოკვლევის პროცესი.

ღონისძიება 3

იმ დაწესებულებებისა და პროექტების შესახებ საინფორმაციო მონაცემების შედგენა, რომელთაც სურვილი აქვთ ან სჭირდებათ მოხალისეობრივი რესურსი

2019 წლის I კვარტალში

მიმდინარეობდა იმ დაწესებულებებისა და პროექტების შესახებ საინფორმაციო მონაცემების შეგროვება, რომელთაც სურვილი აქვთ ან სჭირდებათ მოხალისეობრივი რესურსი

ღონისძიება 4

ურთიერთანამრომლობის დამყარდება მშვიდობის კორპუსის საქართველოს წარმომადგენლობასთან, ამერიკელი მოხალისის მოწვევის საკითხთან დაკავშირებით;

2019 წლის I კვარტალში

2019 თებერვალში, ბათუმის ახალგაზრდულ ცენტრში გაცნობითი ვიზიტით იმყოფებოდა მშვიდობის კორპუსის ამერიკელი მოხალისე მაიკლ ტრიოზი. შეხვედრის ფარგლებში მოხალისემ გამოთქვა მზაობა სამომავლოდ ახალგაზრდულ ცენტრში მოხალისეობის შესახებ ტრენინგების ჩატარების თაობაზე.

ღონისძიება 5

ახალგაზრდა მოხალისეთა ჯგუფების შექმნა, რომლებიც მოხალისეობას პოპულარიზაციას გაუწევენ არა მხოლოდ თავიანთ თანატოლებში, არამედ უფროსი თაობის წარმომადგენლებთანაც

2019 წლის I კვარტალში

გამოცხადდა შესარჩევი ეტაპი ბათუმის მერიის ახალგაზრდული ცენტრის მოხალისეობაზე, რომლის დასრულების შემდგომაც, შერჩეული მოხალისეების ნიჭის, შესაძლებლობებისა და ცოდნის მიხედვით, გადაწყდება თუ რა ტიპის აქტივობებში ჩაერთვებიან მოხალისეები.

პროგრამა 1.6

ახალგაზრდების ჯანმრთელობის დაცვისა და ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობა

პროგრამის მიზანი

ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, მოზარდებისა და ახალგაზრდების ინფორმირება ნარკოტიკზე, თამბაქოსა და ალკოჰოლზე დამოკიდებულებისა და მოხმარებით გამოწვეულ ზიანსა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

ქ. ბათუმში მცხოვრები ახალგაზრდები ინფორმირებულნი არიან ჯანსაღი ცხოვრების წესისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ და გაზრდილია მათი დაინტერესება ჯანსაღი ცხოვრების წესისადმი.

ღონისძიებები:

შესრულების ინდიკატორი

შესრულება

ჩატარდება საინფორმაციო კამპანიები ჯანსაღი ცხოვრების წესის, უსაფრთხოების საკითხებსა და პირველადი დახმარების გაწევის უნარჩვევების შესახებ, რომელშიც ჩაერთვებიან მოზარდები და ახალგაზრდები	ჩატარებული საინფორმაციო კამპანიების რაოდენობა	✓
---	--	---

შემუშავდება ჯანსაღი ცხოვრების წესთან დაკავშირებული მოდულები და ხელმისაწვდომი იქნება კურსის მიწოდება ახალგაზრდებისთვის	შემუშავებული მოდულების რაოდენობა	✓
--	----------------------------------	---

შეიქმნება ახალგაზრდა მოხალისეების ჯგუფები, რომლებიც ჩაატარებენ თანატოლგანმანათლებელთა ტრენინგებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში	ჯანსაღი ცხოვრების წესის გავრცელებასთან დაკავშირებით შექმნილი ახალგაზრდების ჯგუფების რაოდენობა	✓
--	---	---

ღონისძიება 1

ჩატარდება საინფორმაციო კამპანიები ჯანსაღი ცხოვრების წესის, უსაფრთხოების საკითხებსა და პირველადი დახმარების გაწევის უნარჩვევების შესახებ, რომელშიც ჩაერთვებიან მოზარდები და ახალგაზრდები

2019 წლის I კვარტალში

მიმდინარეობდა მოსამზადებელი სამუშაოები ჯანსაღი ცხოვრების წესის, უსაფრთხოების საკითხებსა და პირველადი დახმარების გაწევის უნარჩვევების შესახებ საინფორმაციო კამპანიების ჩასატარებლად.

ღონისძიება 2

შემუშავდება ჯანსაღი ცხოვრების წესთან დაკავშირებული მოდულები და ხელმისაწვდომი იქნება კურსის მიწოდება ახალგაზრდებისთვის

2019 წლის I კვარტალში

პირველ კვარტალში, ახალგაზრდული თვალსაზრისით ინიციატივების ფარგლებში მერიამ დაფინანსებისთვის რეკომენდაცია გაუწია ბათუმელი ახალგაზრდის ზალინა გორგილაძის პროექტს სახელწოდებით „ცხოვრების სკოლა“, რომლის მიზანია მოზარდებსა და ახალგაზრდებში ცხოვრებისეულ საკითხებთან და სირთულეებთან გამკვლავების უნარ-ჩვევების დაუფლება. პროექტი „ცხოვრების სკოლის“ ფარგლებში ბათუმში მცხოვრები 14 - დან 26 წლამდე ასაკის მოზარდებისა და ახალგაზრდებისთვის განხორციელდება პრაქტიკული კურსი ისეთ თემებთან დაკავშირებით, როგორცაა: მენტალური ჯანმრთელობა, დეპრესიასთან ბრძოლის მეთოდები, სტრესთან გამკვლავება, პირველადი დახმარების გაწევის ტექნიკა და ა.შ. პროექტში ჯამში გათვალისწინებულია 150 ახალგაზრდის ჩართვა.

ღონისძიება 3

შეიქმნება ახალგაზრდა მოხალისეების ჯგუფები, რომლებიც ჩაატარებენ თანატოლგანმანათლებელთა ტრენინგებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში

2019 წლის I კვარტალში

გამოცხადდა შესარჩევი ეტაპი ბათუმის მერიის ახალგაზრდული ცენტრის მოხალისეობაზე, რომლის დასრულების შემდგომაც, შერჩეული მოხალისეების ნიჭის, შესაძლებლობებისა და ცოდნის მიხედვით, გადაწყდება თუ რა ტიპის აქტივობებში ჩაერთვებიან მოხალისეები.

პროგრამა 1.7

გარემოსდაცვითი კომპეტენციის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის მიზანი

ახალგაზრდების ცოდნის გაღრმავება, სწორი დამოკიდებულებების განვითარება და უნარების გამომუშავება ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნების, დაცვისა და ბუნებრივ გარემოში ცხოვრების შესახებ. მოზარდებისა და ახალგაზრდების ინფორმირებულობა იმის შესახებ, თუ რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ, როგორ შეინარჩუნონ და დაიცვან ბუნებრივი გარემო.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

გაუმჯობესებულია ქ. ბათუმში მცხოვრები მოზარდებისა და ახალგაზრდების კომპეტენცია გარემოს დაცვისა და ნარჩენების მართვის მიმართულებით. ახალგაზრდებს გააჩნიათ ცოდნა, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ. შექმნილია „გარემოს დამცველთა კლუბი“, რომელიც მოხალისეობრ საწყისებზე ატარებს თანატოლგანმანათლებელთა შეხვედრებს და გარემოს დაცვის კამპანიებს. ახალგაზრდებს გააზრებული და გათავისებული აქვთ გარემოს დაცვისადმი პირადი პასუხისმგებლობა.

ღონისძიებები:

შეიქმნება გარემოსდამცველთა

ახალგაზრდული კლუბი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო

უნივერსიტეტთან თანამშრომლობა

შესაბამისი მიმართულების, სალექციო

კურსებსა და პროექტებში მოსწავლეების

ჩართულობის მიზნით

ბათუმის გამწვანებით სამუშაოებში

ჩართულნი იქნებიან ადგილობრივი

ახალგაზრდა მოხალისეები

თანატოლგანმანათლებელთა ჯგუფები

გამართვან საინფორმაციო შეხვედრებს

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში

შესრულების ინდიკატორი

კლუბში გაწევრიანებულთა რაოდენობა

ღონისძიებებში ჩართული მოხალისეების რაოდენობა

ახალგაზრდების ორგანიზებით მოწყობილი საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა

შესრულება

✓

✓

✓

✓

ღონისძიება 1

შეიქმნება გარემოსდამცველთა ახალგაზრდული კლუბი

2019 წლის I კვარტალში

პირველ კვარტალში შეიქმნა ბათუმის მერიის ახალგაზრდული ცენტრის ეკოკლუბი, რომელშიც გაწევრიანებისთვისაც მიმდინარეობდა რეგისტრაციის პროცესი.

ღონისძიება 2

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობა შესაბამისი მიმართულების, სალექციო კურსებსა და პროექტებში მოსწავლეების ჩართულობის მიზნით

2019 წლის I კვარტალში

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურმა ოფიციალურად მიმართა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელსაც თან დაურთო „2019-2021 წლების ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი“ სამომავლოდ ეფექტური თანამშრომლობისთვის.

ღონისძიება 3

ბათუმის გამწვანებით სამუშაოებში ჩართულნი იქნებიან ადგილობრივი ახალგაზრდა მოხალისეები

2019 წლის I კვარტალში

ბათუმის გამწვანებით სამუშაოებში ჩართვის მიზნით, მიმდინარეობდა ადგილობრივი ახალგაზრდა მოხალისეების შერჩევა.

ღონისძიება 4

თანატოლგანმანათლებელთა ჯგუფები გამართავენ საინფორმაციო შეხვედრებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში

2019 წლის I კვარტალში

პირველ კვარტალში შეიქმნა ბათუმის მერიის ახალგაზრდული ცენტრის ეკოკლუბი, რომელშიც გაწვერიანებისთვისაც მიმდინარეობდა რეგისტრაციის პროცესი. რეგისტრაციის დასრულების შემდგომ, ახალგაზრდები ერთობლივად იმსჯელებენ და მოამზადებენ პრეზენტაციებს ეკოლოგიურ თემატიკასთან დაკავშირებით, რომელსაც გააცნობენ თვითნებურად თანატოლებს.

პროგრამა 1.8 კულტურულ, შემოქმედებით და დასვენების ღონისძიებებში ჩართვის ხელშეწყობა

პროგრამის მიზანი

მოზარდებსა და ახალგაზრდებში შემოქმედებითი უნარების განვითარება და კულტურისა და ხელოვნებისადმი ინტერესის გაღვივება; მოზარდებისა და ახალგაზრდების შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენა და რეალიზების ხელშეწყობა; მათი ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში; ახალგაზრდების ჩართვა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვისა და მოვლა-შენახვის ღონისძიებებში; ახალგაზრდებისთვის რეკრეაციული სერვისის გაწევა.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

გაზრდილია ქ. ბათუმში მცხოვრები ახალგაზრდების შემოქმედებითი უნარები და კულტურისა და ხელოვნებისადმი დაინტერესება. ხელშეწყობილია ახალგაზრდების დასვენება სხვადასხვა ბანაკებში მონაწილეობით, ლაშქრობებით და ექსკურსიებით.

ღონისძიებები:

შესრულების ინდიკატორი

შესრულება

ახალგაზრდების გამოკითხვის წარმოება, რა ტიპის გასართობი აქტივობები ესაჭიროებათ

გამოკითხული ახალგაზრდების რაოდენობა

✓

ხელოვნებისა და ლიტერატურული კლუბების ჩამოყალიბება

კლუბში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა;
კლუბის მიერ განხორციელებული აქტივობების რაოდენობა

✓

ღონისძიება 1

ახალგაზრდების გამოკითხვის წარმოება, რა ტიპის გასართობი აქტივობები ესაჭიროებათ

2019 წლის I კვარტალში

სკოლებში საინფორმაციო შეხვედრების დროს მერიის თანამშრომლები ახორციელებენ მოსწავლეთა ინტერესების შესწავლას.

ღონისძიება 2

ხელოვნებისა და ლიტერატურული კლუბების ჩამოყალიბება

2019 წლის I კვარტალში

ბათუმის მერიის ახალგაზრდულ ცენტრში ჩამოყალიბდა ლიტერატურისა და ხელოვნების კლუბები. კლუბებში გაწევრიანების მსურველთა ელექტრონული რეგისტრაციის მიზნით, შემუშავდა სააპლიკაციო ფორმა. ლიტერატურულ კლუბში სულ დარეგისტრირდა 53, ხოლო ხელოვნების კლუბში - 23 ახალგაზრდა.

პროგრამა 1.9. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობა

პროგრამის მიზანი

ახალგაზრდულ პროგრამებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მონაწილეობისა და ჩართვის გაზრდა, ქვესტური ენის სწავლების ხელშეწყობა, საზოგადოების ინფორმირებულობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური მოდელის შესახებ, სტიგმის დაძლევა და სტერეოტიპებთან ბრძოლა.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

ქ. ბათუმში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდებისა და ახალგაზრდებისთვის, მათი ინტერესების შესაბამისად, ხელმისაწვდომია ახალგაზრდების განვითარებისათვის დაგეგმილი ღონისძიებები; ამდლებულია საზოგადოების ცნობიერების დონე; შემცირებულია სტიგმისა და სტერეოტიპული აზროვნების გამოვლენა.

ღონისძიებები:

შესრულების ინდიკატორი

შესრულება

შეიქმნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 14-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდების საინფორმაციო ბაზა მათი საჭიროებებისა და ინტერესების მიხედვით

სტატისტიკური მონაცემები და საინფორმაციო ბაზა

✓

მერიის მიერ ახალგაზრდული მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების ჩართულობისთვის განხორციელდება ტრანსპორტირება მოეწყობა საინფორმაციო კამპანიები სტიგმებთან და სტერეოტიპებთან დაკავშირებით

სერვისით მოსარგებლე პირთა რაოდენობა

✓

ჩატარდება აუტიზმისა და დაუნის სინდრომის ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღეებთან დაკავშირებული აქტივობები

ჩატარებული აქტივობების რაოდენობა

✓

მშობელთა გაძლიერების მიზნით ჩატარდება ტრენინგები

მონაწილე მშობელთა რაოდენობა

✓

ღონისძიება 1

შეიქმნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 14-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდების საინფორმაციო ბაზა მათი საჭიროებებისა და ინტერესების მიხედვით

2019 წლის I კვარტალში

პირველ კვარტალში მიმდინარეობდა გამოცდილების შესწავლა თუ როგორ უნდა შეიქმნას ეფექტური საინფორმაციო ბაზები

ღონისძიება 2

მერიის მიერ ახალგაზრდული მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების ჩართულობისთვის განხორციელდება ტრანსპორტირება

2019 წლის I კვარტალში

პირველ კვარტალში მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია და გამოცხადდა ტენდერი ბათუმის მერიის ახალგაზრდულ ცენტრში დაგეგმილ აქტივობებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების ტრანსპორტირებისათვის. სურვილის შემთხვევაში, მათ შესაძლებლობა ექნებათ მეორე კვარტლიდან ისარგებლონ აღნიშნული შესაძლებლობით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესში ჩართვისა და ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის მიზნით, ბათუმის რესურსცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სსიპ ქალაქ ბათუმის N13 საჯარო სკოლის ბაზაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით გაიხსნა ინტეგრირებული კლასი აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებისათვის. სკოლაში ირიცხება ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე 10 მოსწავლე, რომელთა ტრანსპორტირებას საჯარო სკოლა ვერ უზრუნველყოფს. სწორედ ამ მოსწავლეთა საგანმანათლებლო პროცესში ჩართვის ხელშეწყობის მიზნით და „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის გათვალისწინებით, რომლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია უზრუნველყოფს მოსწავლეთა სკოლაში ტრანსპორტირება, შეიქმნა ქვეპროგრამა „ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა“.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სასწავლო წლის მანძილზე, 174 სასწავლო დღის განმავლობაში, ქ. ბათუმის ტერიტორიაზე მცხოვრები ქ. ბათუმის N13 საჯარო სკოლის 10 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ტრანსპორტით უზრუნველყოფას (სსიპ ქალაქ ბათუმის N13 საჯარო სკოლამდე მისვლა და შინ დაბრუნება).

ღონისძიება 3

მოეწყობა საინფორმაციო კამპანიები სტიგმებთან და სტერეოტიპებთან დაკავშირებით

2019 წლის I კვარტალში

პირველ კვარტალში მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია და გაფორმდა ხელშეკრულება 21 მარტის - დაუნის სინდრომის საერთაშორისო და 02 აპრილის აუტიზმის ცნობადობის ამადლების მსოფლიო დღეებთან დაკავშირებით, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა საინფორმაციო ბუკლეტების, გამოფენის, პოსტერებისა და სტიკერების ესკიზები, რომლებიც გახდება ერთგვარი საგანმანათლებლო რესურსი, ახალგაზრდების ცოდნის მიღებისა და ხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით სტიგმებისა და სტერეოტიპების დაძლევის საშუალება.

ღონისძიება 4

ჩატარდება აუტიზმისა და დაუნის სინდრომის ცნობადობის ამადლების საერთაშორისო დღეებთან დაკავშირებული აქტივობები

2019 წლის I კვარტალში

პირველ კვარტალში მომზადდა და გამოცხადდა ტენდერი დაუნის სინდრომის საერთაშორისო და აუტიზმის ცნობადობის გაზრდის მსოფლიო დღეებთან დაკავშირებული ღონისძიებების უზრუნველყოფისთვის.

ღონისძიება 5

მშობელთა გაძლიერების მიზნით ჩატარდება ტრენინგები

2019 წლის I კვარტალში

პირველ კვარტალში მშობელთა მიმდინარეობდა შეხვედრები.

პროგრამა 1.11 მოზარდებსა და ახალგაზრდებში წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის მიზანი მოზარდებსა და ახალგაზრდებში წიგნიერების, მედიაწიგნიერებისა და ციფრული წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი გაზრდილია მხატვრული ლიტერატურის მიმართ ინტერესი, ახალგაზრდებს აქვთ კითხვის, წერის, ინფორმაციის დამუშავების, მსჯელობის, კრიტიკული და ობიექტური აზროვნების, მულტიმედიური ტექსტების აღქმა-გაგების, ინტერპრეტირების, შექმნისა და გამოყენების, ინტერნეტ სივრცეში უსაფრთხოების დაცვის, ინფორმაციის დახარისხების, კომპიუტერული ტექსტების ელექტრონულად დამუშავებისა და პროგრამების გამოყენების

ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი	შესრულება
მხატვრული ლიტერატურის კლუბის ჩამოყალიბება და ფუნქციონირება	კლუბში გაწევრიანებული ახალგაზრდების რაოდენობა	✓

ღონისძიება 1

მხატვრული ლიტერატურის კლუბის ჩამოყალიბება და ფუნქციონირება

2019 წლის I კვარტალში

პირველ კვარტალში შემუშავდა სააკლიკაციო ფორმა კლუბებში გაწევრიანების მსურველთა ელექტრონული რეგისტრაციის მიზნით. ლიტერატურულ კლუბში სულ დარეგისტრირდა 53 ახალგაზრდა; კინოკლუბში - 32; ეკოკლუბში - 33, ხოლო ხელოვნების კლუბში - 23 ახალგაზრდა. პროგრამის მიხედვით დაგეგმილი იყო 12 წიგნის შერჩევა, რომელთა სია ახალგაზრდებს უნდა მიწოდებოდათ 6 თვით ადრე, თითოეული მათგანის განხილვის გრაფიკის შედგენა, რაც ასევე წინასწარ უნდა ყოფილიყო ცნობილი დაინტერესებული ახალგაზრდებისათვის. ამ ეტაპისათვის შეირჩა ფილოლოგიის მაგისტრი, ლიტერატურათმცოდნეობის დოქტორანტი რომელმაც ლიტერატურული კლუბის წევრებს შესთავაზა ოთხი ლიტერატურული ნაწარმოები, რომელთაგან უნდა შეარჩიონ მათთვის უფრო მეტად მისაღები და სასურველი ორი ნაწარმოები, რომელსაც გაეცნობიან დამოუკიდებლად მომდევნო ერთი თვის განმავლობაში, ხოლო ამის შემდეგ დაიგეგმება შერჩეული ნაწარმოებების განხილვა ზემოაღნიშნული სტეციალისტის უშუალო ჩართულობითა და მონაწილეობით. დანარჩენი 10 ლიტერატურული ნაწარმოების განხილვაც დაიგეგმება ეტაპობრივად, მსგავსი პრინციპით. პარარელურ რეჟიმში ლიტერატურული კლუბის ფარგლებში ყოველ პარასკევს, 16 სთ. საათზე იკრიბებიან კლუბის წევრები და ატარებენ სხვადასხვა სახის აქტივობას.

პროგრამა 1.12 მოზარდებსა და ახალგაზრდებში ძალადობის პრევენცია

პროგრამის მიზანი

მოზარდებსა და ახალგაზრდებში გავრცელებული ძალადობის ფაქტების შემცირება, ძალადობისა და დისკრიმინაციის პრევენცია. ბრაზისა და აგრესიული ქცევის მართვის უნარების დაუფლება, ემოციური ინტელექტის განვითარების ხელშეწყობა.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

შემცირებულია ძალადობის ფაქტები, მოზარდებს და ახალგაზრდებს შეუძლიათ კონფლიქტის მშვიდობიანად გადაჭრა კომპრომისისა და მოლაპარაკების გზით.

ღონისძიებები:

უფროსი სასკოლო ასაკის ახალგაზრდებისთვის საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება ძალადობის უარყოფითი შედეგების ცნობიერების ამაღლების კუთხით

შესრულების ინდიკატორი

შესრულება

ახალგაზრდების სწრებადობის რიცხვი

✓

კანონთან კონფლიქტში მყოფი და რისკის ქვეშ მყოფი ახალგაზრდების მონაცემების ბაზის შექმნა მათი შემდგომი ჩართვისთვის სხვადასხვა ახალგაზრდულ პროექტებში

მონაცემთა ბაზა

✓

ტრენინგების ჩატარება კონფლიქტის თავიდან არიდებისა და აგრესიის მართვის საკითხებზე;

ტრენინგებში მონაწილეთა რაოდენობა

✓

ღონისძიება 1

უფროსი სასკოლო ასაკის ახალგაზრდებისთვის საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება ძალადობის უარყოფითი შედეგების ცნობიერების ამაღლების კუთხით

2019 წლის I კვარტალში

პირველ კვარტალში ჩატარდა ტენდერი „არაფორმალური განათლების“ პროგრამის შესყიდვის თაობაზე, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია სხვადასხვა თემატიკის ტრენინგების ჩატარება, მათ შორის ძალადობასთან დაკავშირებით.

გარდა აღნიშნულისა, დაფინანსდა ახალგაზრდული საინიციატივო პროექტი „ცხოვრების სკოლა“, რომლის ფარგლებშიც, ჩატარდება ტრენინგების ძალადობის, დისკრიმინაციისა და ბულინგის შესახებ.

ღონისძიება 2

კანონთან კონფლიქტში მყოფი და რისკის ქვეშ მყოფი ახალგაზრდების მონაცემების ბაზის შექმნა მათი შემდგომი ჩართვისთვის სხვადასხვა ახალგაზრდულ პროექტებში

2019 წლის I კვარტალში

კანონთან კონფლიქტში მყოფი და რისკის ქვეშ მყოფი ახალგაზრდების მონაცემთა ბაზის შექმნისა და სხვადასხვა ახალგაზრდულ პროექტებში მათი შემდგომი ჩართვის მიზნით გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის წარმომადგენლებთან.

ღონისძიება 3

ტრენინგების ჩატარება კონფლიქტის თავიდან არიდებისა და აგრესიის მართვის საკითხებზე;

2019 წლის I კვარტალში

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პოლიტიკის განყოფილების მე-3 კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა მონაწილეობა მიიღო ორგანიზაციის „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის“ პროექტის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრაში, სადაც განხილული იქნა მუნიციპალიტეტის როლი არასრულწლოვანთა დანაშაულის ადრეული პრევენციის ქმედითი ღონისძიებების შესახებ. შეხვედრაზე გაზიარებული იქნა ინფორმაცია სამომავლო ერთობლივი მუშაობისა და ღონისძიებების შესახებ. მიმდინარეობს სხვადასხვა პრაქტიკის შესწავლა და გაცნობა, თუ როგორ უნდა შეიქმნას და დამუშავდეს მონაცემები პროგრამის სამიზნე ჯგუფების შესახებ.

პროგრამა 1.13 ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია ახალგაზრდებისთვის

პროგრამის მიზანი კრიზისული სიტუაციების პრევენციის, ფსიქოლოგიური, სოციალური და პიროვნული უნარების განვითარება; მოზარდებისა და ახალგაზრდებისთვის ფსიქოლოგიური ხასიათის შეხვედრების ჩატარება; ცხოვრებისეულ სირთულეებთან გამკვლავების, პრობლემების იდენტიფიცირების, გადაწყვეტისა და ემოციის მართვის მზაობის განვითარება; უცხო გარემოში ადაპტირებისა და კომპლექსების დაძლევის უნარების განმტკიცება; ემოციური ინტელექტის განვითარება.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის არსებობს ფსიქოსოციალური მომსახურების გაწევის შესაძლებლობები.

ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი	შესრულება
ახალგაზრდულ ცენტრში გამოიყოფა სივრცე „ფსიქოლოგის საათისთვის“	ბათუმის ახალგაზრდულ ცენტრში შექმნილია სივრცე „ფსიქოლოგის საათისთვის“	✓
განხორციელდება მოზარდებისა და მშობლების ინფორმირებულობა ფსიქოლოგიური მხარდაჭერის პროგრამის შესახებ	საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა	✓
ჩატარდება თემატური შეხვედრები ფსიქოლოგთან	ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა	✓

ღონისძიება 1

ახალგაზრდულ ცენტრში გამოიყოფა სივრცე „ფსიქოლოგის საათისთვის“

2019 წლის I კვარტალში

პირველ კვარტალში მომზადდა და და ჩატარდა ტენდერი, ახალგაზრდულ ცენტრში „ფსიქოლოგის საათის“ სერვისის შესყიდვის თაობაზე. შემუსავდა 14 შეხვედრის გრაფიკი. აღნიშნული სერვისის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა ბათუმის მერიის ახალგაზრდული ცენტრის ფეისბუქ გვერდზე. შეხვედრები დაიწყო მე-2 კვარტალიდან.

ღონისძიება 2

განხორციელდება მოზარდებისა და მშობლების ინფორმირებულობა ფსიქოლოგიური მხარდაჭერის პროგრამის შესახებ

2019 წლის I კვარტალში

„ფსიქოლოგის საათის“ შესახებ ინფორმაცია გავრცელდა ახალგაზრდული ცენტრის ფეისბუქ გვერდის მეშვეობით, მეორე კვარტალიდან ჩატარდება 14 გაკვეთილი, 7 შეხვედრა მშობლებთან, 7 მოზარდებთან.

ღონისძიება 3

ჩატარდება თემატური შეხვედრები ფსიქოლოგთან

2019 წლის I კვარტალში

პირველ კვარტალში შედგა გრაფიკი და პროგრამა „ფსიქოლოგის საათის“ განხორციელების შესახებ, მე-2 კვარტალიდან ჩატარდება 14 შეხვედრა, როგორც მოზარდებთან, ასევე დაინტერესებულ მშობლებთან.

სტრატეგიული მიმართულება 2 ბათუმის ახალგაზრდული ცენტრის განვითარება

პროგრამა 2.1 კომფორტული და უსაფრთხო სივრცე ახალგაზრდებისათვის

პროგრამის მიზანი

ახალგაზრდების განვითარებაზე, ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებული ფიზიკური სივრცის უზრუნველყოფა, სადაც მოზარდები და ახალგაზრდები ჩაერთვებიან არამხოლოდ წინასწარ დაგეგმილ ღონისძიებებში, არამედ თავადაც დაგეგმავენ საკუთარი სურვილითა და შეხედულებებით, რაც ხელს შეუწყობს თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენებას.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

ახალგაზრდებისთვის უზრუნველყოფილია თავისუფალი, განვითარებასა და თვითგამოხატვაზე ორიენტირებული უსაფრთხო ფიზიკური და შინაარსობრივად დატვირთული სივრცე, სადაც ახალგაზრდებს შეუძლიათ შეიკრიბონ და მართონ თავიანთი თავისუფალი დრო რაციონალურად და საინტერესოდ.

ღონისძიებები:

შესრულების ინდიკატორი

შესრულება

ახალგაზრდული ცენტრის ბაზაზე ახალგაზრდული კლუბების ფუნქციონირების მხარდაჭერა

ცენტრის ბაზაზე შექმნილია და ფუნქციონირებს ახალგაზრდული კლუბები

✓

ცენტრის ბაზაზე არაფორმალური განათლების პროგრამების განხორციელება

ჩატარებული შეხვედრებისა და მონაწილეობა რაოდენობა

✓

ღონისძიება 1

ახალგაზრდული ცენტრის ბაზაზე ახალგაზრდული კლუბების ფუნქციონირების მხარდაჭერა

2019 წლის I კვარტალში

კლუბების განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში საერთო ინტერესების ახალგაზრდების შეკრებისა და გაერთიანების, ახალგაზრდების შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენის, მსჯელობისა და ობიექტური აზროვნების, ხელოვნების დარგებთან დაახლოებისა და ესთეტიკური განვითარების, სოციალური პასუხისმგებლობის გააზრებისა და გათავისების, მიზნით, დაგეგმილი იყო ლიტერატურული, ხელოვნების, კინოსა და ეკოლოგიის კლუბების ამოქმედება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მ.წ. თბერვლის თვეში შემუშავდა სატენდერო დოკუმენტაცია, მარტის თვეში გამოცხადდა და შედგა ტენდერი აღნიშნული ღონისძიების ორგანიზების თაობაზე. შემუშავდა სააპლიკაციო ფორმა კლუბებში გაწევრიანების მსურველთა ელექტრონული რეგისტრაციის მიზნით. ლიტერატურულ კლუბში სულ დარეგისტრირდა 53 ბენეფიციარი; კინოკლუბში - 32; ეკოკლუბში - 33, ხოლო ხელოვნების კლუბში - 23 ბენეფიციარი. ლიტერატურული კლუბის მართვის მიზნით, ამ ეტაპისათვის შეირჩა ფილოლოგიის მაგისტრი, ლიტერატურათმცოდნეობის დოქტორანტი რომელმაც ლიტერატურული კლუბის წევრებს შესთავაზა ოთხი ლიტერატურული ნაწარმოები, რომელთაგან უნდა შეარჩიონ მათთვის უფრო მეტად მისაღები და სასურველი ორი ნაწარმოები, რომელსაც გაეცნობიან დამოუკიდებლად მომდევნო ერთი თვის განმავლობაში, ხოლო ამის შემდეგ დაიგეგმება შერჩეული ნაწარმოებების განხილვა ზემოაღნიშნული სპეციალისტის უშუალო ჩართულობითა და მონაწილეობით. კიდევ 10 ლიტერატურული ნაწარმოების განხილვაც დაიგეგმება ეტაპობრივად, მსგავსი პრინციპით. პარარელურ რეჟიმში ლიტერატურული კლუბის ფარგლებში ყოველ პარასკევს, 16 სთ. საათზე იკრიბებიან კლუბის წევრები და ატარებენ სხვადასხვა სახის აქტივობას.

ღონისძიება 2

ცენტრის ბაზაზე არაფორმალური განათლების პროგრამების განხორციელება

2019 წლის I კვარტალში

ახალგაზრდების ინიციატივების განხორციელების ხელშეწყობის ფარგლებში, განხორციელდა პროექტი „საქართველოს პარლამენტის მოდელირება 2019- საგაზაფხულო სესია“, რომლის მიზანს წარმოადგენდა არაფორმალური განათლების მეშვეობით ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა საზოგადოებრივ პროცესებში, საპარლამენტო საქმიანობის შესახებ ცოდნის გავრცელება, დებატების, საჯარო გამოსვლისა და პრობლემის გადაწყვეტის უნარ-ჩვევების გაუმჯობესება. პროექტის ფარგლებში 29 მარტს, ქალაქ ბათუმის მერიის ახალგაზრდულ ცენტრში, პროექტის მონაწილეებისათვის მოწვეულმა სპიკერმა ჩაატარა საინფორმაციო შეხვედრა, ტრენინგ-სემინარი თემაზე: „საქართველოს პარლამენტის მუშაობა და ფუნქციები“. 30 და 31 მარტს გაიმართა სამუშაოები და სხდომები შემდეგ კომიტეტებში: განათლების, მეცნიერების, კულტურის კომიტეტი, ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი, გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი. პლენარულ სხდომაზე წარმოდგენილი 4 რეზოლუციიდან დამტკიცდა 3, მათ შორის: სქესობრივი განათლება სკოლებში, ნარჩენების მართვა და თანამედროვე ტექნოლოგიები, უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს უფლება. თითოეული კომიტეტიდან გამოვლიდნენ საუკეთესო დელეგატი, რომლებსაც სხვადასხვა პრიზები გადაეცათ. პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი იყვნენ ბათუმელი ახალგაზრდები თამარ აბაშიძე და ზალინა გორგილაძე. მოსწავლეებმა და სტუდენტებმა, სულ 100 ახალგაზრდამ.